

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთია მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუღებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენების საინვესტიციო გეგმა

საინვესტიციო გეგმაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მიმოხილვა

2017 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი იქნა უმნიშვნელოვანესი ცვლილებები და ის ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა. საკუთრების უფლების დაცვის ნორმებს დამატალებულია (მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი), რომელიც კონკრეტულად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრებას ეხება. ამგვარად, საქართველოს კონსტიტუციით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა აღიარებულ იქნა განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსად და დადგინდა, რომ ის შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში. ამასთან, კონსტიტუციით, იქვე დაშვებულ იქნა გამონაკლისი შემთხვევების არსებობის შესაძლებლობაც. კონსტიტუცია თავად არ განსაზღვრავს, რა შემთხვევაში შეიძლება იქნეს დაშვებული გამონაკლისი. ეს მოგვიანებით დაადგინა 2019 წლის 25 ივნისის მიღებულმა საქართველოს ორგანულმა კანონმა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“¹.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, გამონაკლის შემთხვევებში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლება იყოს საქართველოში რეგისტრირებული იმ კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში, რომლის დომინანტი პარტნიორია უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი ან რომლის დომინანტი პარტნიორი ვერ დგინდება^{2,3}. ასეთ შემთხვევებში, კანონი ითხოვს, რომ

¹ საქართველოს ორგანული კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“. გამოქვეყნებულია „საკანონმდებლო მაცნეში“, სარეგისტრაციო კოდი: [370030000.04.001.017924](https://www.elegislation.gov.ge/370030000.04.001.017924)

² ორგანული კანონი ადგენს სხვა გამონაკლის შემთხვევებსაც, რომლებიც ამ კვლევაში არ არის განხილული. ესენია: უცხოელი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფინანსური ინსტიტუტი.

გადაწყვეტილება მიწის საკუთრების შესახებ, მიიღოს საქართველოს მთავრობამ, მთავრობისთვის წარდგენილი საინვესტიციო გეგმის საფუძველზე.

კანონი განმარტავს, რა იგულისხმება დომინანტ პარტნიორში. კანონის მიზნებისთვის, დომინანტ პარტნიორად ითვლება საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის პარტნიორი ან პარტნიორთა ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნის წილის/აქციის/პაის 50 პროცენტზე მეტი ან/და რომელიც წარმოადგენს პარტნიორების ან დამფუძნებლების/წევრების უმრავლესობას. ამასთან, დომინანტ პარტნიორს უნდა ჰქონდეს იურიდიული პირის მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაზე გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენის პრაქტიკული შესაძლებლობა.

საქართველოს მთავრობისთვის საინვესტიციო გეგმის წარდგენის ვალდებულება ჩნდება ორ შემთხვევაში:

- (1) საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის (რომელსაც საკუთრებაში აქვს სასოფლო-სამეურნეო მიწა) პარტნიორის ცვლილებისას;
- (2) საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზებისას.

ორივე შემთხვევის წინაპირობაა დომინანტი პარტნიორის არსებობა: საინვესტიციო გეგმის წარდგენის ვალდებულება წარმოიქმნება მაშინ, როდესაც პარტნიორის ცვლილებისას ან საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ მიწის პრივატიზებისას, პირის დომინანტი პარტნიორია უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი ან რომლის დომინანტი პარტნიორი ვერ დგინდება.

რა არის საინვესტიციო გეგმა?

„სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ“ ორგანული კანონი განმარტავს, რა არის საინვესტიციო გეგმა. კანონის თანახმად, საინვესტიციო გეგმა არის „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გამოყენების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ან/და სხვა პროდუქციის წარმოების, ინოვაციური საქმიანობების დანერგვის, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის, საერთაშორისო, სახელმწიფოებრივი ან/და ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტების შესრულების მიზნით ინვესტიციის განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ეროვნული უსაფრთხოების დაცვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.“.

³ დომინანტი პარტნიორი ვერ დგინდება „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ყურადსაღებია, რომ ორგანული კანონი იძლევა მხოლოდ საინვესტიციო გეგმის განმარტებას და აწესებს მისი მთავრობისთვის წარდგენის ვალდებულებას. კანონში არ არის მოცემული საინვესტიციო გეგმასთან დაკავშირებული რაიმე სახის სახელმძღვანელო პრინციპები.

„სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ“ ორგანულ კანონთან (შემდგომში, ამ კვლევაში - ორგანული კანონი) ერთად, იმავე დღეს (2019 წლის 25 ივნისს) საქართველოს პარლამენტმა მიიღო სასოფლო-სამეურნეო მიწასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ნორმატიული აქტი - საქართველოს კანონი „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“⁴ (შემდგომში, ამ კვლევაში - კანონი). ამ კანონით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო. სააგენტოს მიენიჭა საინვესტიციო გეგმაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებული გარკვეული უფლებამოსილებები. კანონში სულ ორი მუხლი (მე-11 და მე-12 მუხლები) ეთმობა საინვესტიციო გეგმაზე გადაწყვეტილების მიღების წესს.

ორგანული კანონისა და კანონის მიღებიდან ორი წლის შემდეგ, 2021 წლის მაისში, მიღებული იქნა კანონქვემდებარე აქტი - „საინვესტიციო გეგმის წარდგენისა და საინვესტიციო გეგმასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების წესი“⁵ (შემდგომ, ამ კვლევაში - „გადაწყვეტილების მიღების წესი“). ამ დოკუმენტში საინვესტიციო გეგმის შინაარსისადმი მოთხოვნებს ეთმობა სულ ერთი მუხლი (მე-7 მუხლი).

ორგანულ კანონში მოცემული საინვესტიციო გეგმის განმარტებიდან, კანონში და გადაწყვეტილების მიღების წესში მოცემული რამდენიმე ნორმიდან შესაძლებელია საინვესტიციო გეგმის რამდენიმე ძირითადი მახასიათებლის გამოყოფა და შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. სასოფლო-სამეურნეო მიწაზე განსახორციელებული საინვესტიციო გეგმა არ შემოიფარგლება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებით. სასოფლო-სამეურნეო მიწაზე შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი სახის საქმიანობა/პროექტი (მათ შორის, მოეწყოს ტურისტული ინფრასტრუქტურა) და შეიძლება წარმოებული იყოს ნებისმიერი სახის პროდუქცია („...ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ან/და სხვა პროდუქციის წარმოების... მიზნით ინვესტიციის განხორციელებას“)⁶.

⁴ გამოქვეყნებულია „საკანონმდებლო მაცნეში“, სარეგისტრაციო კოდი: [370020000.05.001.019528](#)

⁵ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის #222 დადგენილება „საინვესტიციო გეგმის წარდგენისა და საინვესტიციო გეგმასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“. გამოქვეყნებულია „საკანონმდებლო მაცნეში“, სარეგისტრაციო კოდი: [370020000.10.003.022777](#)

⁶ მართალია, „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი ადგენს სასოფლო-სამეურნეო მიწის მიზნობრივად (სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის) გამოყენების ვალდებულებას, მაგრამ იქვე უშვებს სხვა დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობასაც, ოღონდ ეს დასაშვებია მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების ფორმალური პროცედურის გავლის შემდეგ.

მიუხედავად ამისა, სამივე, ორგანული კანონიც, კანონის და გადაწყვეტილების მიღების წესიც - ყურადღებას ამახვილებენ მხოლოდ სოფლის მეურნეობაში განსახორციელებელ ინვესტიციაზე და არაფერს ამბობენ სხვა დარგებზე.

კანონისა (მე-11 მუხლის მე-7 პუნქტი) და გადაწყვეტილების მიღების წესის (მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი) თანახმად: საინვესტიციო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინვესტიციის სოფლის მეურნეობის დარგში განხორციელებას, უნდა მოიცავდეს სოფლის მეურნეობაში ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებას და შეიცავდეს ვალდებულებას, რომ დასაქმებულ პირთა არანაკლებ 4/5-ს საქართველოს მოქალაქეები შეადგენდნენ.

გადაწყვეტილების მიღების წესი (მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი), შემგომ, კიდევ აზუსტებს, რა იგულისხმება ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებაში. წესის თანახმად, „ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებად მიიჩნევა საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგად შესაძლებელი იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის შესაბამის დარგში არსებულ ღირებულებათა ჯაჭვში დამატებითი ღირებულების შექმნა ან/და რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების გაზრდის მიზნით პირველადი პროდუქციის წარმოებასა და იმპორტის ჩანაცვლებას.“.

2. საინვესტიციო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინოვაციას, თუმცა, რა სახის ინოვაციას ან რა მიმართულებით, ამაზე არც ორგანული კანონი და არც კანონი განმარტებას არ აკეთებენ. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ საინვესტიციო გეგმის განმარტებიდან ჩანს, თითქოს, ინოვაცია საინვესტიციო გეგმის აუცილებელი მახასიათებელია; თუმცა, როგორც გადაწყვეტილების მიღების წესიდან (მე-7 მუხლის პირველი პუნქტი) ჩანს, ეს არ არის შესასრულებლად სავალდებულო მოთხოვნა.

გადაწყვეტილების მიღების წესის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში, საინვესტიციო გეგმის აუცილებელი შემადგენელი ნაწილების ჩამონათვალში, ნახსენებია ინოვაცია და ტექნოლოგიების დანერგვა, თუმცა, არა როგორც აუცილებელი, არამედ შესაძლო ნაწილი: „საინვესტიციო გეგმა უნდა მოიცავდეს... (თ) ინოვაციური საქმიანობის აღწერას (თუ საინვესტიციო გეგმა ითვალისწინებს ამგვარს); (ი) თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და აღწერას (თუ საინვესტიციო გეგმა ითვალისწინებს ამგვარს)“.

3. საინვესტიციო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინვესტიციას „საერთაშორისო, სახელმწიფოებრივი ან/და ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტების“ განსახორციელებლად. ორგანული კანონი არაფერს ამბობს, როგორ უნდა დადგინდეს პროექტის მნიშვნელობა, მასშტაბი (საერთაშორისო, სახელმწიფო, ადგილობრივი) ან შემოწმდეს, რომ პროექტს ნამდვილად აქვს კანონით მოთხოვნილი ეს მახასიათებელი.

4. ორგანული კანონი, ასევე, არ განმარტავს, რა იგულისხმება „ინვესტიციაში“. ეს, მოგვიანებით, გადაწყვეტილების მიღების წესით დადგინდა. ამ აქტის თანახმად, „ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და არაქონებრივი, მათ შორის, ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც, შესაძლო მოგების მიღების მიზნით, დაინტერესებული პირის მიერ კაპიტალიზირდება საქართველოში შესაძენ სასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განსახორციელებელ საქმიანობაში. ინვესტიციად არ მიიჩნევა საქართველოში მიმდინარე საგრანტო პროექტიდან/პროგრამიდან მიღებული სახსრები“.

5. ორგანულ კანონში მოცემული განმარტების თანახმად, საინვესტიციო გეგმამ ხელი უნდა შეუწყოს „სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ეროვნული უსაფრთხოების დაცვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას“. როგორც ჩანს, საინვესტიციო გეგმამ, ზემოაღწერილ მახასიათებლებთან ერთად, ერთდროულად, უნდა დააკმაყოფილოს ეს სამი მოთხოვნაც. ორგანული კანონი არ იძლევა რაიმე სახელმძღვანელო მითითებას საინვესტიციო გეგმის ამ სამი მოთხოვნის შესრულების შესაფასებლად.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კანონსა და გადაწყვეტილების მიღების წესში, მხოლოდ სოფლის მეურნეობის დარგში ინვესტირების შემთხვევაა განხილული და ნახსენებია პროექტში საქართველოს მოქალაქეთა დასაქმების ვალდებულების შესახებ (დასაქმებულთა არანაკლებ 4/5 საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს).

აქვე უნდა აღინიშნოს, ასევე, ეროვნული უსაფრთხოების დაცვაზე. კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტი ითხოვს, რომ თუ საინვესტიციო გეგმა ეხება „საქართველოს სასაზღვრო ზონაში ან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ზონაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს“, მაშინ გადაწყვეტილება გეგმის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის გათვალისწინებით. ამასთან, ორგანულ კანონში მოცემული განმარტება საინვესტიციო გეგმის ინიციატორისგან ითხოვს არა უბრალოდ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის გათვალისწინებას, არამედ ეროვნული უსაფრთხოების ხელშეწყობას, არსებული ვითარების გაუმჯობესებას.

ყურადსაღებია, რომ კანონის მე-11 მუხლი (მე-6 პუნქტი), საინვესტიციო გეგმის განხილვისას და გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე, ითხოვს საქართველოსა და ევროკავშირის შორის დადებული ასოცირების შეთანხმების გათვალისწინებას.


საინვესტიციო გეგმაზე გადაწყვეტილების მიღების ეტაპები და ამ პროცესში დაინტერესებული საზოგადოების ჩართვის შესაძლებლობა


როგორც დასაწყისში აღინიშნა, ორგანულმა კანონმა შემოიტანა მხოლოდ საინვესტიციო გეგმის ცნება; საინვესტიციო გეგმაზე გადაწყვეტილების მიღების ეტაპები და მასში მონაწილე მხარეები კი, განისაზღვრა კანონით და გადაწყვეტილების მიღების წესით. ამ ორ აქტს, 2021 წლის აგვისტოში, დაემატა კიდევ ერთი კანონქვემდებარე აქტი, რომელიც განსაზღვრავს საინვესტიციო გეგმის განმხილველი საბჭოს შექმნისა და მუშაობის წესს⁷.

⁷ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 3 აგვისტოს #2-1186 ბრძანებით დამტკიცებული „საინვესტიციო გეგმის განხილვის საბჭოს საქმიანობის წესი“, გამოქვეყნებულია „საკანონმდებლო მაცნეში“, სარეგისტრაციო კოდი: [370020000.22.023.016684](https://www.ebr.gov.ge/legislation/act/370020000.22.023.016684)

ქვემოთ მოყვანილ #1 დიაგრამაში აღწერილია საინვესტიციო გეგმაზე გადაწყვეტილების მიღების ეტაპები, როგორც ეს მოცემულია ნახსენებ სამ ნორმატიულ აქტში. ამასთან, ზოგიერთი პროცედურული დეტალი გამიზნულადაა გამოტოვებული, ვინაიდან მათზე მსჯელობა სცდება ამ კვლევის ფარგლებს.

დიაგრამა 1. საინვესტიციო გეგმაზე გადაწყვეტილების მიღების ეტაპები





როგორც დიაგრამიდან ჩანს, ამ კვლევაში განხილული აქტები უმეტესწილად განსაზღვრავენ საინვესტიციო გეგმაზე გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც საქმე ეხება საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწას - ისეთ შემთხვევას, როდესაც მისი პარტნიორი იცვლება და დგება საინვესტიციო გეგმის წარდგენის ვალდებულება. კვლევაში განხილული ნორმატიული აქტები თითქმის არაფერს ამბობენ ისეთ შემთხვევაზე, როდესაც

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება ხდება. ასეთ შემთხვევაში საინვესტიციო გეგმაზე გადაწყვეტილების მიღების ეტაპები ნათელი არაა.

ყურადსაღებია ასევე, რომ გადაწყვეტილების მიღების წესში ნახსენებია სააგენტოსთან დასაღები შეთანხმება (იხ. #1 ღიაგრამის ბოლო გრაფა), თუმცა, წესი არ იძლევა განმარტებას ამ შეთანხმების არსზე, მიზანზე, დადების წესსა და სხვა მახასიათებლებზე.

როგორც ცნობილია, სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების საკითხი ცხარე დებატების საგანია საქართველოს საზოგადოების ყველა ჯგუფში. ხშირია შემთხვევები, როდესაც სადავო ხდება ამა თუ იმ ადგილობრივი თემის სარგებლობაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება; არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც დავები მწვავე კონფლიქტში იზრდება. ადგილობრივი თემები, როგორც წესი, ჩივიან იმაზე, რომ მათ სარგებლობაში ან/და ტრადიციულ საკუთრებაში არსებული მიწის გასხვისების და სხვადასხვა სახის პროექტის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებები მათი ინფორმირების და მონაწილეობის, მათი აზრის გათვალისწინების გარეშე მიიღება. ამ გარემოების გამო, საინტერესოა, ითვალისწინებენ, თუ არა ამ კვლევაში განხილული აქტები დაინტერესებული საზოგადოების და კონკრეტულად, იმ თემების ინფორმირებისა და მონაწილეობის შესაძლებლობას საინვესტიციო გეგმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ამგვარი გადაწყვეტილება? სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხი მოკლე და მარტივია; - არა, არ ითვალისწინებს.

ორგანულ კანონს, როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, მხოლოდ და მხოლოდ შემოაქვს საინვესტიციო გეგმის ცნება. რაც შეეხება კანონსა და გადაწყვეტილების მიღების წესს, არცერთი არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების პროცესის რომელიმე ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებას ან/და დაინტერესებული საზოგადოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფას.

ბოლო წლებში, საქართველოში, დამკვიდრდა მიწაზე და მიწასთან დაკავშირებულ სხვა რესურსებზე (მაგალითად, სასარგებლო წიაღისეულზე) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას, ამ ორგანოების მიერ მუნიციპალიტეტებთან ერთგვარი კონსულტირების ნახევრად ფორმალური პრაქტიკა. ეს პრაქტიკა, სამწუხაროდ, ხშირად, წარმოჩინდება როგორც საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ორგანოთა მიერ გაწეული ძალისხმევა.

სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ გადაწყვეტილებების მიღებამდე, ისინი, მისაღები გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციას უგზავნიან მუნიციპალიტეტებს და მათგან ულიან პასუხს იმაზე, ხომ არ შეხვდება მას ადგილობრივთა წინააღმდეგობა. წინააღმდეგობა შეიძლება, გამოწვეული იყოს იმით, რომ ბუნებრივი რესურსის გამოყენებაზე შესაძლოა არსებობდეს კონფლიქტური ინტერესები. სახელმწიფო ორგანოები მუნიციპალიტეტების პასუხს განიხილავენ ადგილობრივ თემებთან კონსულტაციით მიღებულ პასუხად, თუმცა, რეალობაში, რა თქმა უნდა, ეს ასე არაა. მუნიციპალიტეტები არც უფლებამოსილი არიან და არც ვალდებული (მითუმეტეს, შესაბამისი პროცედურების არარსებობის პირობებში), უზრუნველყონ საზოგადოების

ინფორმირება და მონაწილეობა; მათ ამის რესურსული შესაძლებლობაც არ აქვთ. გარდა ამისა, ვერავინ მოთხოვს მათ პასუხს სახელმწიფო ორგანოებისთვის დაბრუნებულ პასუხზე, მის სისწორეზე.

სამწუხაროდ, ძალზე დიდი ალბათობით, ზემოთ მოყვანილი დიაგრამის ერთ-ერთ გრაფაში აღწერილი ეტაპი - როდესაც სააგენტო ახორციელებს შესაბამისი მუნიციპალიტეტიდან ინფორმაციის წინასწარ მოკვლევას - სწორედ ამ ფიქტიურ პრაქტიკას გულისხმობს (თანაც, სულ რაღაც 10 დღეში). ეს კი, ნიშნავს, რომ საინვესტიციო გეგმების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესმა შესაძლოა, მასში მონაწილე მხარეებისთვის, წყნარად და უმტკივნეულოდ ჩაიროს, მაგრამ ეს ასეთივე უმტკივნეულო არ იქნება ამ გადაწყვეტილებების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ადგილობრივი თემებისთვის და დაინტერესებული საზოგადოების სხვა ჯგუფებისთვის. ადგილობრივი თემებისა და დაინტერესებული საზოგადოების ხმის იგნორირება კი, როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დაგროვილი დიდი გამოცდილება აჩვენებს, მნიშვნელოვნად ზრდის საინვესტიციო პროექტების წარუმატებლობის ან საერთოდ განუხორციელებლობის, ასევე, ხელისუფლების ორგანოთა დისკრედიტაციისა და ინვესტორთა რეპუტაციის შელახვის რისკებს.

 **HEINRICH BÖLL STIFTUNG**
თბილისი
სამხრეთ კავკასია

მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „პასუხისმგებლიანი მიწის პოლიტიკა“ - ფარგლებში.

ნარკვევის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა და ის შესაძლებელია არ გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს შეხედულებებს.

© მწვანე ალტერნატივა, 2021



მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74

GREENALT@GREENALT.ORG

WWW.GREENALT.ORG